ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №666234

ნომერი: AR1118913

თარიღი : 24.03.2013

გაცემის თარიღი : 29.04.2013

გაცნობის თარიღი : 30.04.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მექანიზაციის ქუჩა N1 , (ნაკვეთი N1/95) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ სვანიძე პ/ნ 01025011374
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 16 ბ. 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 24 მარტის #AR1118913 განცხადებით მომართა მოქ. რევაზ სვანიძემ და მოითხოვა 29.10.2010წ. #2666-1 სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2010 წლის 29

ოქტომბერს #01/2439 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში , სექტორი ნაძალადევი, მექანიზაციის ქუჩა #1–ში შპს „ცისკარის 2008“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საწყობის, ავტოსამრეცხაოს და ავტოტექმომსახურებოს ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა #ნ/2666–1.
აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამსახურის 26.04.2013წ. №663458 ბრძანებით დადგენილი იქნა ხარვეზი და დაევალა დამკვეთს 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოედგინა ობეიქტზე სრული სივრცის ამსახველი ფოტოსურათები. განმეორებით წარმოდგენილი განცხადებით სრულყოფილად არ იქნა შევსებული ხარვეზი, ვინაიდან წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან არ ჩანს სამშენებლო ობიექტზე არსებული მდოგომარეობა.
შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5, მე–6, 83-ე, 96–ე, მუხლებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი _ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილების თანახმად, ვბრძანებ:
ვბრძანებ:
1. რევაზ სვანიძის 2013 წლის 24 მარტის #AR1118913 განცხადება დარჩეს განიხილველი;
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარატავს ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.